



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY



განკარგულება:გ-135.135242434

თარიღი:30/08/2024

„მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის Nგ-135.135233631 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. შევიდეს ცვლილება, „მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის Nგ-135.135233631 განკარგულებაში.
2. განკარგულებას დაემატოს „სიძველისა და სტიქიის (მათ შორის ხანძრის) შედეგად დაზიანებული და ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამა“ დანართი №1 - ის შესაბამისად.
3. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ. ზუგდიდი ვრ. ქობალიას ქ №12).

ზაურ ჩართოლანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიცირი
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

